სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

10.03.10 № 32

თბილისი

2009-10 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის სწავლის საფასურის გადახდისათვის დამატებითი ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდისათვის დამატებითი ვადების განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტებს 2009-2010 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის სწავლის საფასურის სრულად დაფარვის ვადა განესაზღვროთ მიმდინარე წლის 22 მარტამდე;
2. სტუდენტები, რომლებიც სრულად არ გადაიხდიან სწავლის საფასურს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, სემესტრულ გამოცდებზე დაიშვებიან გადასახდელი თანხისა და ამ თანხის 10%-ს ოდენობით ჯარიმის გადახდის შემთხვევაში;
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს ფაკულტეტების დეკანებმა და კანცელარიამ;
4. ბრძანება გამოიკრას ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე - ქ. თბილისი უზნაძის ქ.№52 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი *ქ. ქოქრაშვილი*

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*